სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

● № 13 (4572) ● 31 ოქტომბერი ● 2018 წელი ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 1 ლარი

მოსწავლე – უპირველეს ყოვლისა!

გენიოსელთა მრწამსი: „ერთობლივად – ყმაწვილებისთვის“

კერძო სკოლას **„გენიოსი“** ჰქვია. პრეტენზიულია? ერთობ! გენიოსებად იბადებიან და არა – ხდებიან. ეს კარგად მოეხსენება დირექტორს, არსითა და მრწამსით პედაგოგს, ქალბატონ **ვერა ყურულაშვილს,** მაგრამ მისი თქმით, თუ ბავშვს საწყისიდანვე დიდი მიზანი დაუსახე, რისი უშუალო შემოქმედიცა და მონაწილეც თავადაა (ცხადია, პედკოლექტივთან ერთად) გენიოსად ვერ ჩამოყალიბდება, მაგრამ განათლებულ, სამშობლოს მოყვარულ, პასუხისმგებლობის გრძნობით აღსავსე პიროვნებად აუცილებლად დადუღდება.

დაისახე ნათელი, ქვეყნისთვის საჭირო მიზანი და ეცადე ხორცი შეასხა მას – ასე ზრდიან, ასე ასწავლიან **„გენიოსში“,** რადგან სწავლა და აღზრდა გენიოსელთათვის მთლიანი პროცესია, ერთში წარმატება მეორის წარმატებას განაპირობებს და – პირუკუ.

რამდენი რთული, ადრე რომ ძნელადაღსაზრდელს ვუწოდებდით, მისულა **„გენიოსში“** და მერე სამაგალითონი გამხდარან. რომელი დიდაქტიკურ-მენტორული რჩევა-დარიგებანი შეედრება ასე თვალსაჩინოებას?! ამ რამდენიმე წინადადების მიღმა კი წლებით წარმართული სათუთი, ტაქტიანი მუშაობა დგას, როცა გამოწვლილვით უნდა შეისწავლო ყოველი აღსაზრდელის ფსიქიკა, მისი უნარ-ჩვევები, მისწრაფებები. ეს მით უფრო რთულია, რომ **„გენიოსში“** სხვადასხვა ასაკის ყმაწვილები მიდიან და რა უფრო რთულია, თავიდანვე მიყოლა თუ უკვე გაფუჭებულის გამოსწორება?

გენიოსელები ამ სიძნელეებსაც ძლევენ. მათი მუშაობის ძირთაძირი ესაა: **„გიყვარდეს ბავშვი, ენდე მას და არ ავნო“.** ცხადია, აქ ფიზიკური კი არა, სულიერი ვნება იგულისხმება. და მუშაობენ პედაგოგები ბავშვების სიყვარულით, ურთიერთნდობითა და მათი პიროვნებების პატივისცემითა და გაგებით – **საქართველოს არა ჰყავს დასაკარგავი ახალგაზრდობა** – ასე სწამთ სკოლაში და აქეთკენ წარმართავს ძალისხმევას მისი 23-ვე პედაგოგი, რომელთაგანაც 7 უფროსი მასწავლებელია.

გამართულად, მიზანმიმართულად და ურთიერთშეთანხმებულად მუშაობს ქართული ენისა და ლიტერატურის (ხელმძღვანელი – **ლალი იაშვილი**); ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (**მარინე პურჭამიაშვილი**); უცხო ენების (**შორენა ჯოლოგუა**); საზოგადოებრივ მეცნიერებათა (**სოფიო სახიაშვილი**); სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის (**ლიკა ჯოლოგუა**) კათედრები.

„გენიოსში“ ურთიერთს ერწყმის ახალგაზრდული ენერგია, ენთუზიაზმი და გამოცდილება, სიდინჯე. და შედეგად სწორედ იმ ოქროს შუალედს იღებენ, რაც ყველაზე ეფექტურად წარმართავს სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს – ახალგაზრდა პედაგოგთა და გამოცდილ კოლეგათა ერთობლივი მუშაობა. „ახალწვეულთა“: **ნინო გოგოლაძის** (გეოგრაფია და მეწარმეობის საფუძვლები), **ირინა ტულუშის** (ხელოვნება), **კლარა ილურიძის** (ფიზიკა), **კახა კეკელიძის** (სპორტი) პრიორიტეტები – სკოლისას ემთხვეოდა. ამიტომ გახდნენ ისინი **„გენიოსის“** პედაგოგები და ამიტომ წარიმართა თავიდანვე მათი მუშაობა წარმატებულად.

სკოლას დიდებული შედეგები აქვს ყველა კონკურსსა თუ ოლიმპიადაში. მისი მოსწავლეები საქართველოს ნაკრებშიც არიან ინგლისურ ენაში. ასეთი აქტიურობისა და წარმატებისათვის პედაგოგები – **ქეთევან ლაცაბიძე** და **მარინე ჭარელიშვილი** დაჯილდოვდნენ. ყველა კურსდამთავრებული სტუდენტია. ნაწილმა დაფინანსებებიც მოიპოვა.

მთლიანად მოსწავლეებზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს კარგად უძღვება დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში **ანა მურაჩაშვილი,** ხოლო ყმაწვილების ჯანმრთელობის სადარაჯოზე გამოცდილი პედიატრი **მაკა ადეიშვილი** დგას.

სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გარეშე, სკოლის პედაგოგთა მარგი ქმედების კოეფიციენტი გაწეული შრომის ტოლფასი მაინც ვერ იქნებოდა. **„გენიოსში“** ამ მხრივაც ყველაფერი რიგზეა: 2009 წელს დაარებულ სკოლას ახლა მშვენიერი, ყოველმხრივ მოსწავლეებზე მორგებული, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის წარმატებულად წარმართვისათვის გამიზნული, 350 მოსწავლეზე გათვლილი შენობა აქვს. პირველი სკოლაა, სადაც ფიცრის იატაკები ვნახე. ესეც ეკოლოგიურად სუფთა გარემოსთვისაა. ლაბორატორიები, კლას-კაბინეტები, სპორტული დარბაზი, სასადილო...

ეზო – მწვანეში „ჩამჯდარი“ – ესთეტიკა და ჰიგიენა. ასეთია **„გენიოსი“.** საოცარი აურაა. სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულმა მოსწავლეებმა ეზოში „თავისი“ ხეები დარგეს. „გაახარე ხე და ხე გაგახარებს შენ“ – ასე უნერგავენ აღსაზრდელებს. ამას შემეცნებით- ეკოლოგიური ექსპედიციებიც დავურთოდ: მოსწავლეები ბუნებაში, ისტორიულ ადგილებზე გაჰყავთ და იქაურობასაც აუცილებლად აწესრიგებენ. უკეთესი პატრიოტული აღზრდა ძნელი წარმოსადგენია. სკოლა საერთაშორისო პროექტებშიც მონაწილეობს. ყოველ ამას უნარიანად, შემოქმედებითად უძღვება ახალგაზრდა სპეციალისტი – ბიოლოგიის მასწავლებელი **არსენ ბახია** დედის, ქალბატონ ვერას კვალს რომ გაჰყვა.

განათლების პროგრამა ყველა სკოლისთვის საერთოა. სწორედ აქაა „ჩამარხული ძაღლის თავი“: როგორ ახორციელებს მას სკოლა? ტრაფარეტულად მიჰყვება, თუ შემოქმედებითად უდგება, თავისი შეაქვს მასში? და კიდევ – შეძლო სიახლეების დამკვიდრება?

გაგრძელება მე-2 გვ.

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

მოსწავლე – უპირველეს ყოვლისა!

პირველი გვერდიდან

აი, როგორ ესმით და ახორციელებენ ამას **„გენიოსში“** (ცხადია, საგაზეთო წერილის მოცულობის გათვალისწინებით): **ზოგადი, შეძლებისდაგვარად, ფართო განათლება.** ეს ხომ ბევრ სკოლას დაავიწყდა (ან, დაავიწყეს). ადრე ხომ სკოლებს **ზოგადსანამანათლებლო** ერქვა. ინტელექტუალური კლუბი, მრგვალი მაგიდა სწორედ ამ მიზნის მიღწევას ემსახურება. შემეცნება, მსჯელობა სხვადასხვა აქტუალურ, საინტერესო საკითხზე მიწვეულ მეცნიერებთან ერთად... თანაც, აღსაზრდელთა ასაკის, მისწრაფებების გათვალისწინებით, სწორედ ყმაწვილების თვალსაწიერის გაფართოებისკენ არის მიმართული. ყოველ კლასში სავალდებულოა ამა თუ იმ, კვლავ და კვლავ ასაკის გათვალისწინებით, წიგნების წაკითხვა და იმართება ცოცხალი მსჯელობა წაკითხულზე. ამაში ყველა ბავშვი მონაწილეობს, რადგან ყველას წაიკითხა ეს თხზულებები. **ინანიშვილი, დუმბაძე, მუხრან მაჭავარიანი...** მონაწილეობა და გამარჯვებები კონკურს „ყველაზე წიგნიერში„ **ბაკურ სულაკაურის** გამომცემლობა რომ მართავს და მოსწავლეთა წიგნიერების საფუძველის ჩაყრას დაწყებითი კლასებიდან ქართული ხალხური ზღაპრებით იწყებენ. ამ საგანძურზე უკეთ სხვა რამ ხომ ძნელად გამოხატავს ხალხის სულს.

ყოველი წლის ბოლოს ერთგვარი შემოქმედებითი ანგარიშიც ბარდება მოსწავლეთა შემოქმედებისა, რაც ყმაწვილების ესთეტიკური აღზრდისა და, ასევე, თვალსაწიერის გაფართოებისკენაა მიმართული. მოსწავლეები ახალ-ახალი სპექტაკლებით წარსდგებიან ხოლმე. შარშან ლიტერატურულ თეატრში **„სალამურა“** წარმოადგინეს. იყო სიმღერაც, ცეკვაც, დეკლამირებაც. ასეთ ღონისძიებებს დაწყებითი კლასების პედაგოგი **ელენე ბოლქვაძე** და მუსიკის მასწავლებელი **ნანა გოცირიძე** ხელმძღვანელობენ. სკოლაში საავტორო საგანი – **„ლოგიკა და კრეატიული აზროვნება“** ისწავლება. ფიცრის იატაკისა არ იყოს, **„გენიოსი“** პირველი სკოლაა, სადაც საავტორო საგნის თაობაზე შევიტყე. თავისი პროგრამით ასწავლიან და ესეც მოსწავლეთა აზროვნების, ვითარებაში მყისიერად გარკვევის, სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარის განვითარებისა და, შედეგად, განათლების გაფართოებისკენაა მიმართული. საგანს უნარიანად უძღვებიან მათემატიკის მასწავლებლები –**მარინა ძულაძე და შორენა შინჯიკაშვილი.**

ალბათ, სწორედ ამას ჰქვია შემოქმედებითი მიდგომაც და სიახლეების შეტანაც, რაც სწორედ მალამოსავით ედება განათლების აგრერიგად წამხდარ დარგს.

ჩემი თაობა პიროვნების როლის მიჩქმალვა-მიფუჩეჩების ყბადაღებული პროპაგანდის გარემოში გაიზარდა. არადა, მსოფლიოსა და საქართველოშიც, ყველაზე დიდი ძნელბედობის ჟამს, განგება სწორედ დიდებულ, ხანკი გენიოს პიროვნებებს მოგვივლენდა ხოლმე.

ძალზე ბევრია დამოკიდებული პიროვნებაზე და **„გენიოსში“** სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესს **„გენიალურად“** წარმართავს სათავეში განათლების დარგის ერთ-ერთი გამოცდილი, ღვაწლმოსილი მუშაკი, ქალბატონი **ვერა ყურულაშვილი** უდგას სათავეში, ხოლო, თუ სათავე წმინდაა, წყაროც ანკარა მიედინება.

მან 1979 წელს დაამთავრაა დედაუნივერსიტეტი ქიმიის ფაკულტეტი და მაშინვე დაიწყო მუშაობა პედაგოგად თბილისის 138-ე საშუალო სკოლაში. შემდეგ 13-ე სკოლის დირექტორი გახლდათ, ბოლის კი **„გენიოსი“** დააარსა. ქალბატონი ვერა ნიუანსურად ფლობს სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს, იცის კოლეგებთან, ბავშვებთან მუშაობის „ანი“ და „ჰაე“, რასაც ასე თვალნათლივ წარმოაჩენს თუნდაც ზემომოთხრობილი. არსით, მრწამსით, განათლებით პედაგოგი ორი წიგნის: „ბავშვის აღზრდის პირველი ნაბიჯების“, „ბავშვის წინასასკოლო მომზადების (თამაშების) გამოყენებით“ და ლოგიკის სახელმძღვანელოების ავტორიცაა. დირექტორმა თანამოაზრეები შემოიკრიბა დევიზით: „ერთობლივად – ბავშვებისთვის!“

ესაა გენიოსელთა მრწამსი.

კონსტანტინე გურგენიძე

ნომრის სტუმარია – მე-10 საჯარო სკოლა

ახალი გამოწვევებისთვის მზად არიან

ბელა ხუბუტია

დედაქალაქში, ჯერჯერობით, ორ საჯარო სკოლის დირექტორს ვიცნობთ, რომელთაც მრავალშვილიანი ოჯახები აქვთ და ხუთ-ხუთ სახელოვან შვილს უზრდიან მამულს. ესენი გახლავთ: მე-10 სკოლისა – **ბელა ხუბუტია** (სოხუმიდან დევნილი), და 106-ე სკოლის – **თენგიზ გულორდავა.**

ამჯერად, ჩვენი წერილის მთავარი პერსონაჟია **ბელა ხუბუტია**, რომელიც საკუთარი ოჯახივით ზრუნავს სკოლაზე, არის შეანიშნავი მენეჯერი, მაღალკვალიფიციური მათემატიკის სპეციალისტი, კარგი პედაგოგი და განურჩევლად უყვარს თითოეული მოსწავლე. სწორედ კარგი ხელმძღვანელის დამსახურებაა, რომ მე-10 საჯარო სკოლა 2011 წელს, საქართველოს წლის საუკეთესოთა შორის მოხვდა და იგი არამარტო რაიონში, არამედ მთელ ქალაქში უპირობო ლიდერია. ეს წოდება სკოლას მიენიჭა მსურველთა რიცხვის მოთხოვნადობის გაზრდის, პირველ კლასელთა რაოდენობის სწრაფად შევსების, ეროვნულ ოლიმპიადებში მოსწავლეთა მიღწევების, ვერცხლის და ოქროს მედალოსანთა სიმრავლის გამო. კურსდამთავრებულთა უმეტესობა ასპროცენტიანი დაფინანსებით ჩაირიცხნენ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში და მოიპოვეს გრანტი, ხოლო ორი მათგანი **ლუკა ოდიშვილი** და **გიორგი პეტრიაშვილი**, სან დიეგოს ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტები გახდნენ. **გიორგი პეტრიაშვილი** ასევე, გახლავთ საქართველოს ოლიმპიური ნაკრების წევრი – ქიმიაში, იგი ახლახან დაბრუნდა ჩინეთის საერთაშორისო კონფერენციიდან, სადაც უმაღლესი ჯილდოს მფლობელი გახდა. სკოლა ასევე, ასახელეს მედალოსნებმა: **თეო დემეტრაშვილმა, ლუკა ოდიშვილმა, მარიამ გეგეშიძემ** და **ანი ჭაბუკაშვილმა.**

სკოლა მაღალ შედეგებზეა ორიენტირებული და ბევრია ბეჯითი, წარმატებული მოწავლე; მაგალითად, პირველი კომპიუტერის მფლობელები არიან: **ნოდარ ბედენაშვილი, ანი ბოჭორიშვილი, ლიკა იორაიშვილი, თამარ მარიკაშვილი, რობერტ სალიმიანი, მარიამ ტყეშელაშვილი, ლიზი იანტბელიძე** და **მარიამ ჭაბუკაშვილი.**

საგულიხმოა, რომ სკოლა დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური პედაგოგებით, აქ სულ 87 მასწავლებელია, რომელთა 60% არის უფროსი და სერთიფიცირებული.

12 ოქტომბერს, 11 პედაგოგმა მოიპოვა წარმატება, რომლებსაც მიენიჭათ უფროსი მასწავლებლის სტატუსი. ესენია: **ქეთევან ბაბუნაშვილი, ნათია კორძაძე, თამარ დანელია, მანონი დანელია, მარინე სტვილია, ლელა ტბარიკაშვილი, მაია ნეფრიძე, თამუნა ტაბატაძე, ნელი ბუჩუკური** და **ლალი კასრელიშვილი. მანანა გუმბერიძეს** კი, – წამყვანი პედაგოგის სტატუსი.

მე-10 საჯარო სკოლა ერთ-ერთი ტრადიციული სასწავლო დაწესებულებაა. იგი 1938 წელს დარსდა და უკვე 80 წლისაა. დირექტორის გადაწყვეტილებით, ახლახან, არტ-ჰოლში, სკოლის გრანდიოზული საიუბილეო ღონისძიება გაიმართა.

პოპულარულ სკოლაში, ყოველწლიური ბავშვთა მატებაა, 5 ფინანსური კლასი გაიხსნა და ამჟამად, პირველ კლასში 125 მოსწავლეა. აქ აქტიურია შემოქმედებითი ცხოვრებაც, სადაც იმართება სხვადასხვა სახის ღონისძიებები. ეფექტურად მუშაობს სკოლის თვითმმართველობაც, რომელიც ბევრ საქმეს აკეთებს სამოქალაქო განათლების და ამ კუთხით ცნობიერების ამაღლების მიზნით. მე-10 სკოლაში დიდი ყურადღება ექცევა ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდას, სადაც იმართება სპორტული ღონისძიებები. შარშან, სკოლის ფეხბურთის გუნდი კი **„კოკა-კოლას თასის“** მფლობელი გახდა.

მოსწავლეები მონაწილეობენ სხვადასხვა აქტივობებში და ოლიმპიადებში: ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ინგლისურში, ქიმიაში, გეოგრაფიაში და ა.შ. სკოლაში ფუნქციონირებს მრავალი წრე, ასევე თეატრალური დასი და აქვე იქმნება სცენარებიც. დასი 3 წლის წინ დაარსდა და ამ მცირე ხნის მანძილზე, ნორჩმა მსახიობებმა დიდი პოპულარობა მოიპოვეს, შარშან, სასკოლო ფესტივალის ფარგლებში 3 პიესა წარადგინეს, სადაც გრან პრის მფლობელი გახდნენ. წელს კი, სპექტაკლმა **„აქ და ასე“** პირველი ადგილი მოიპოვა.

ასე რომ, სკოლაში დიდი ყურადღება ექცევა როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ განათლებას. მაღალკვალიფიციური პედკოლექტივი არსებულ ტრადიციებს სიახლეებით ამდიდრებს და მზად არის ახალი გამოწვევებისათვის.

მზია გოგოძე

უთუოდ იქნება ამერიკაკვკასიაში წამყვანი სასწავლებელი

ნგრევის დიდოსტატები ვართ. პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემაც ხომ გავასწორეთ მიწასთან?! კი, ბევრად იყო გაბერილი, ფულიც ბლომად კეთდებოდა, მაგრამ თავად იდეა – რესპუბლიკისთვის კვალიფიციური ეროვნული მუშა-სპეციალისტების აღზრდა სწორედაც დიდებული და აუცილებელი იყო. ამ სისტემას – დანგრევა კი არა, დახვეწა სჭირდებოდა.

ახლა თანდათან რწმუნდებიან პროფესიული განათლების საჭიროებაში და

დაარსდა საზოგადოებრივი თუ კერძო კოლეჯები.

ერთ-ერთი ასეთი და გამორჩეული სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი **„სპექტრია“.**

რატომ – გამორჩეული? პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტებს საკონკურსო შერჩევის წესით იღებენ! არადა, ამ ტიპის სასწავლებლების უმეტესობა სწორედ კონტინგენტის სიმწირეზე ვიშვიშებს.

„სპექტრი“ კი 4 მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამებით: ინჟინერიის (მშენებლობა), ბიზნესის ადმინისტრირების, მეცნიერებისა და ხელოვნების მხრივ ყოველწლიურად 600-ზე მეტ სტუდენტს ამზადებს. ხოლო მოკლევადიან მომზადება-გადამზადების კურსების კონტინგენტი, ყოველწლიურად – 300-ს აჭარბებს.

რამ განაპირობა ყმაწვილების მიჯარება **„სპექტრში“?**

ცხადია, თავი და თავი დასაქმებაა. თითქმის დაუჯერებელია, მაგრამ მისი პროცენტი, საშუალოდ, 65-70 %-ია.

ქვეყანაში თითქმის ეკონომიკური კოლაფსია. მაშ, როგორ ახერხებს ამას კოლეჯი?

ბაზრის მოთხოვნათა გათვალისწინებით, თადარიგის დროულად დაჭერით, სწორი პროფესიული ორიენტაციითა და პერსპექტივის გინივრული გათვლით.

კოლეჯს მუდმივი საქმიანი ურთიერთობები აქვს პოტენციურ დამსაქმებლებთან და მათ ინტერესებს აუცილებლად ითვალისწინებს.

2007 წლიდან უცხოელი პარტნიორების, კერძოდ აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) თანამონაწილეობით, პროფესიულმა სასწავლებელმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ინფრასტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და დანერგა ახალი სასწავლო პროგრამები ტექნიკური ინჟინერიის მიმართულებით.

2010 წელს კოლეჯსა და ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს საგანმანათლებლო პროგრამის „განათლება დემოკრატიისათვის“ ფარგლებში დაინერგა და განხორციელდა ახალი პროფესიული პროგრამა.

კოლეჯი 2013 წლიდან აქტიურად თანამშრომლობს ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროსთან ინკლუზიური სწავლების დანერგვისა და განხორციელების მიმართულებით. შესაბამისად, „სპექტრში“ დიდი ყურადღება ექცევა ინკლუზიურ განათლებას. შექმნილია სათანადო ინფრასტრუქტურა.

კოლეჯმა, 2012-13 წლებში „გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების“ (GIZ) აქტიური მხარდაჭერითა და შპს **„კაპაროლ ჯორჯიის“**, კ/ს **„კნაუფ გიპს თბილისის“** და შპს **„ჰაიდელბერგცემენტის“** ჩართულობით, შეიმუშავა ერთობლივი პროფესიული პროგრამები, სტანდარტები და სილაბუსები. მათი მხარდაჭერით განხორციელდა პედაგოგების გადამზადება კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, დაინერგა თანამედროვე ტექნოლოგიები, გარემონტდა და აღიჭურვა სასწავლო ლაბორატორიები, შეიქმნა სახელმძღვანელოები (ელექტრიკოსის, შემდუღებლის, თაბაშირ-მუყაოს, მებათქაშისა და მღებავის პროგრამებისთვის).

2015 წლის 9 სექტემბერს ხარისხის მართვის ევროპული ფონდის – EFQM „გზა სრულყოფისაკენ“ მოდელის განხორციელების ფარგლებში, სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ **„სპექტრს“** ეწვივნენ ხარისხის მართვის ევროპული ფონდის EFQM ექსპერტი და ამავე ფონდის ვალიდატორთა ჯგუფი. ვალიდატორების დასკვნის საფუძველზე, სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ **„სპექტრის“** ორმა პირადმა და ერთმა საერთო გაუმჯობესების პროექტებმა წარმატებით გაიარა ვალიდაცია EFQM სრულყოფის დონის პირველ საფეხურზე და მიიღო EFQM სრულყოფაზე ორიენტირების აღიარება, რის საფუძველზეც, იმავე წლის ნოემბერში სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი **„სპექტრი“** დაჯილდოვდა ხარისხის მართვის ევროპული ფონდის EFQM „გზა სრულყოფისაკენ“ მოდელის სერთიფიკატით.

კოლეჯმა 2016 წელს მონაწილეობა მიიღო ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის MCC მიერ გამოცხადებულ კონკურსში და, გამარჯვების შემდგომ, პროექტის „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისათვის“ ISWD პროფესიული განათლების განვითარების საგრანტო პროგრამის ფარგლებში, 2017 წელს გაიარა ბრიტანული საერთაშორისო საგანმანათლებლო ორგანიზაციის BTEC ავტორიზაცია ოთხ პროგრამაზე და 2017 წლის შემოდგომიდან კოლეჯი ახორციელებს სწავ-

გაგრძელება მე-4 გვ.

კოლეჯი „სპექტრი“ – აწმყო და მომავალი

მესამე გვერდიდან

ლებას Pearson-ის საერთაშორისო აღიარების ოთხ მოდულარულ პროგრამაზე (შემდუღებელი, ელექტრიკოსი,

კონდიცირების სისტემის სპეციალისტი, მიწისქვეშა კომუნიკაციების სპეციალისტი – 4-4 საფეხური).

პედაგოგთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად, კოლეჯისა და კომპანია **„კუბიკის“** ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში, 17 სექტემბერს კოლეჯის პედაგოგებისა და პარტნიორი კომპანიების წარმომადგენელთათვის ტრეინინგი ჩატარდა.

მას „Vaillant Group International Gmbh“-ის აღმოსავლეთ ევროპაში ტექნიკური სერვისების მომსახურების საერთაშორისო ექსპერტი **ვლადიმერ მოროზოვიჩი** უძღვებოდა.

5 სექტემბერს კოლეჯს საქართველოში სამუშაო ვიზიტით მყოფი გერმანიის რესპუბლიკის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელები სტუმრობდნენ.

საზოგადოებრივ კოლეჯ **„სპექტრის“** დირექტორი **მათე ტაკიძე,** კოლეჯის თანამშრომლებთან ერთად, ოლდენბურგის ვეხლოის პროფესიული კოლეჯის დირექტორს ბ-ნ **ოლივერ პუნდტს**, ქალაქ დელმენჰორსტის **„პროფესიული განათლების სკოლა II“**-ის დირექტორს **ულრიჰ დროსტს**, პედაგოგ **ტატიანა ლაბოჰომს** და განათლების სამინისტროს წარმომადგენელს **ანი ბეჟანიშვილს** შეხვდა.

სტუმრებმა დაათვალიერეს კოლეჯის ინფრასტრუქტურა, გაეცვნენ ბრენდირებული ლაბორატორიების მუშაობის პრინციპებს და მიიღეს მაქსიმალური ინფორმაცია **„სპექტრში“** მიმდინარე სასწავლო პროცესის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დუალური განათლების პროცესის განვითარებას, ამ მხრივ გამოცდილების გაზიარებას ურთიერთანამშრომლობის რეალურ პერსპექტივაში და – სტუდენტთა გაცვლით პროგრაგრამებს.

26 სექტემბერს საზოგადოებრივ კოლეჯ **„სპექტრს“** მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები, განათლების მთავარი სპეციალისტი **ელიზაბეტ ნინან დულვი** და ეკონომისტი **მარგო ჰოფთჯიზერი** სტუმრობდნენ.

კოლეჯის დირექტორმა **მათე ტაკიძემ** სტუმრებს სასწავლებელში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესი და ინფრასტრუქტურა გააცნო.

კოლეჯი მუდმივად გეგმავს და ახორციელებს საქმიანობას სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და სწავლების ხარისხის შემდგომი სრულყოფისათვის. ბიზნესსექტორთან აქტიური თანამშრომლობის შედეგად, მუდმივად იზრდება სასწავლებლის პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალი და მათი რიცხვი უკვე 50-ს აჭარბებს.

ცხადია, დამსაქმებლებს კვალიფიციური კადრები სჭირდებათ. ამას კი **„სპექტრის“** გამოცდილი და მცოდნე, მონდომებული პედკოლექტივი განაპირობებს. გამოცდილი დირექტორი, ბატონი **მათე ტაკიძე,** მისი მოადგილე **ვარლამ ავალიანი** განუხრელად იღვწიან, რათა პედაგოგებს შემოქმედებითი, მიზანმიმართული, კოლეგიალური შრომის მაქსიმალური პირობები შეუქმნან (ამომწურავი ინფორმაცია მოგვაწოდა საზოგადოებრიობასთან ურთიერთობის სპეციალისტმა **თამარ არჩვაძემ**).

მაგრამ პაგანინს სტრადივარიუსის ვიოლინო რომ არ ჰქონოდა, ასეთი ვირტუოზი, ჯადოქარი შემსრულებელი ვერ იქნებოდა. ანუ, სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გარეშე დირექციის, პედკოლექტივის ძალისხმევის შედეგი დიახაც დამცრობილი იქნებოდა.

„სპექტრი“ ამ მხრივადაც თვალსაჩინოა. მას მუდმივად განახლებადი, თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე აღჭურვილ-გამართული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აქვს.

დავაკონკრეტოთ: 30 კაბინეტ-ლაბორატორია. მათგან სამი ბრენდირებული სასწავლო ლაბორატორიაა; ცხრამეტი სასწავლო სახელოსნო; სამი ნოვაციური ტექნოლოგიების

ლაბორატორია; ბიბლიოთეკა (128438 წიგნადი ფონდით), ღია სპორტული მოედანი, საკონფერენციო დარბაზი, კაფეტერია, საგამოცდო აუდიტორია და ღია სივრცე ღონისძიებებისათვის.

ჩამონათვალიდან ცხადია, რომ კოლეჯის ხელმძღვანელობას ისიც მუდმივად ახსოვს, რომ ახალგაზრდებს, სწავლასთან ერთად, სიხალისე, გართობა სჭირდებათ. საამისოდაა მრავალი კონკურსი, დისპუტი, გამოფენა, სპორტი, შეხვედრა და სტუდენტთა ცხოვრებაც ლაღად, დინამიურად წარიმართება. ანუ კოლეჯში ჰარმონიულად განვითარებულ პიროვნებას ზრდიან – კვალიფიკაციაც, ესთეტიკაც, თვალსაწიერის გაფართოებაც და ჯანმრთელობაც.

კოლეჯის ფასეულობები და სამუშაო პრინციპებია: კოლეჯის მომსახურებით დაინტერესებული ყველა მხარის მაქსიმალურად დაკმაყოფილება; ყველა მუშაკის მაქსიმალური ჩართულობა მიმდინარე და განსახორციელებელ ძირითად საკითხებში; კოლეჯის მართვა ურთიერთშეთანხმებით, ერთიანი ხედვის პრინციპით; გამჭვირვალობა; სწავლა/სწავლებისას განსაკუთრებული აქცენტი სასწავლო პრაქტიკაზე – სწავლა კეთებით; თანამშრომლობითი, კომფორტული და ესთეტიკური სასწავლო გარემოს შექმნა; მოტივირებული პედაგოგი, როგორც განვითარების მნიშვნელოვანი რესურსი; მოტივირებული სტუდენტი, როგორც წარმატების მნიშვნელოვანი ფაქტორი.

კოლეჯმა ასე ჩამოაყალიბა თავისი მისია: კვალიფიციური კადრების, მაღალი რანგის სპეციალისტების ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით მომზადება და მათი საგანმანათლებლო მიზნების განხორციელებისა და დასაქმებისთვის მაქსიმალური პირობების შექმნა.

მისია სრულდება. დასტური? თუნდაც, დასაქმების პროცენტი ვინ მიიღებს სამუშაოდ უვიცს? ხოლო კურსდამთავრებულთა მაღალი კლასიფიკაცია და ადმინისტრაციის მონდომება მათ დასაქმებას განაპირობებს.

„სპექტრის“ მიზანია, 2025 წლისთვის (ასე აქვთ გათვლილი) ამიერკავკასიაში პროფესიული განათლების წამყვანი სასწავლებელი გახდეს ინჟინერიის მიმართულების პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამებსა და უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში.

ჩვენი აზრით, ასეთი შემოქმედებითი, მიზანმიმართული, გონივრული მუშაობითა და პრაქტიკული ხედვით ამ მიზანს **„სპექტრი“** გათვლილზე უფრო მალე მიაღწევს.

კონსტანტინე გურგენიძე

კოლეჯი – ევროპული სტანდარტების დონეზე

შენ გინდა ასეთ სკოლაში სწავლა?

ირინა ზედგინიძე

წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯის დირექტორი, პროფესიით ინჟინერ-ქიმიკოსი, ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი **ირინა ზედგინიძე** გახლავთ, რომელსაც საგანმანათლებლო სფეროში საქმიანობის დიდი გამოცდილება აქვს – ზოგადი სკოლა, კოლეჯი და უმაღლესი სკოლა. ქალბატონი ირინა დაწვრილებით გვიამბობს, როგორ შეიქმნა და ვითარდებოდა სკოლა-კოლეჯი წლების განმავლობაში:

– სკოლა-კოლეჯის ისტორია ასახავს იმ შინაარსს, მისიას, საქმიანობის სფეროსა და ღირებულებებს, რასაც ქართველი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-კოლეჯი დღეს წარმოადგენს. თავდაპირველად, ის სდასუს მრავალპროფილიანი კოლეჯი იყო, რომელმაც 3 წელი იარსება. 2005 წელს დაინყო სკოლა-კოლეჯმა დამოუკიდებლად ფუნქციონირება როგორც შპს „დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯი“.

– როგორ მოიპოვეთ დამოუკიდებლად არსებობისთვის ლიცენზია?

– 2005 წელს ჩვენ გავიარეთ ლიცენზირება ყველა იმ პირობით, რა პირობაც მაშინ წაყენებული იყო ასეთი დაწესებულებების მიმართ და მოვიპოვეთ როგორც სკოლის ლიცენზია, ასევე პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლება. სკოლა-კოლეჯის მოსწავლეები ეუფლებიან ცოდნას, რაც არის საჭირო საშუალო სკოლის დამთავრებისთვის და ამავე

დროს, მათ აქვთ უფლება, რომ X-XII კლასებში აირჩიონ მათთვის საინტერესო პროფესია, დაეუფლონ მის საფუძვლებს და წარმატებით დამთავრების შემთხვევაში, ატესტატთან ერთად აიღონ მესამე საფეხურის პროფესიული დიპლომი.

– რატომ აირჩიეთ დიმიტრი ყიფიანის სახელი?

– მე ვთვლი, რომ იგი ჩვენი ერის სინდისი და ღირსებაა, ადამიანია, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ერის საგანმანათლებლო პროცესში. როდესაც დამოუკიდებლად დავფუძნდით, ჩვენ ავირჩიეთ დიმიტრი ყიფიანის სახელი, რომლითაც ძალიან ვამაყობ. ამ სკოლა-კოლეჯის ისტორიაში მოხდა ის უდიდესი მოვლენა, რომ 2007 წელს წმინდა სინოდმა დიმიტრი ყიფიანი წმინდანად შერაცხა და მას შემდეგ სკოლა-კოლეჯი წმინდანის სახელს ატარებს.

– რით არის გამორჩეული თქვენი სკოლა?

– ჩვენ გვაქვს ინტეგრირებული სწავლება. ეს არის განსაკუთრებული სკოლა, რისთვისაც ბევრი ვიბრძოლე და ვიშრომე. მოსწავლეებს აქვთ უფლება სკოლის ფარგლებში აირჩიონ სპეციალობა. მათ შეუძლიათ აიღონ სრული ზოგადი განათლების ატესტატი, ჩააბარონ ერთიანი ეროვნული გამოცდები და განაგრძონ სწავლა და ამასთან ერთად არჩეული პროფესიით იმუშაონ. მაგალითად, ჩვენ ვამზადებთ კბილის ტექნიკოსებს და თუ ახალგაზრდა აბარებს სტომატოლოგიურზე, ჩვენი დიპლომი, მისთვის უკვე წინ გადადგმული ნაბიჯია. ამჟამად სახელმწიფოსთვის პრიორიტეტული გახდა საკითხი, რომ კოლეჯებში შეიტანონ ზოგადსაგანმანათლებლო მიმართულ;ების ელემენტები და კოლეჯის კურსდამთავრებულებმა მიიღონ ეროვნული გამოცდების ჩაბარების უფლება. ეს არიან კოლეჯები სკოლის ელემენტით, მაგრამ ჩვენ ვართ სკოლა კოლეჯის პროფესიული პროგრამებით და მოსწავლეებს უფლება აქვთ სკოლასთან ინტეგრირებულად დაეუფლონ იმ სპეციალობას, რომელსაც აირჩევენ.

– რომელი პროფესიული პროგრამების არჩევა შეუძლიათ თქვენს მოსწავლეებს?

– ამ ეტაპზე სკოლა-კოლეჯი ახორციელებს შემდეგ პროფესიულ პროგრამებს:

1. **კბილის ტექნიკოსი** – მესამე საფეხური.
2. **ოფისის მენეჯერი** (მდივან-რეფერენტი) – მესამე საფეხური.
3. **ინტერნეტ-ტექნოლოგი** (ვებ-სპეციალისტი) – მესამე საფეხური.
4. **მცენარეების დამამზადებელი** (სამკურნალო, არომატული) მესამე საფეხური.

ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით დაგვემატა 2 ახალი მოდულური პროგრამა, კერძოდ: საფინანსო სერვისები და ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა, რომელთა განხორციელებასაც ვგეგმავთ მომავალი სასწავლო წლიდან.

აქედან გამომდინარე, ჩვენ სწორად უნდა გავიგოთ, რომ ეს არის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა (საბაზო და საშუალო საფეხური), რომელსაც აქვს უფლება განახორციელოს პროფესიული პროგრამები. სასწავლო პროცესს წარმატებით უძღვებიან პედაგოგები: **ეკატერინე ხუნაშვილი** (რედაქტირება), **მარგალიტა მაზანიშვილი** (მეწარმეობის საფუძვლები), **თამარ შალამბერიძე** (კბილის პროთეზირება), **ნანა ცომაია** (სამედიცინო ბიოლოგია და ჯანმრთელობა), **სირინოზ პეტრიაშვილი** (სამართალმცოდნეობა), **გიორგი სიმონიშვილი** (ინფორმაციული ტექნოლოგიები), **არტემ სოლოღაშვილი** (კომპიუტერული გრაფიკა), **ქეთევან თავბერიძე** (კომპიუტერული მეცნიერება), **ლიანა ებანოიძე** (სამკურნალო ბალახების მოყვანისა და გადამუშავების ტექნოლოგია), **ნათელა შეყლაშვილი** (ბოტანიკა, ფარმაკოგნოზია).

– როგორ მიმდინარეობს სკოლის სასწავლო პროცესი?

– სწავლა-სწავლების პროცესი ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, პედაგოგები ჩართული არიან სქემაში, ესწრებიან ტრენინგებს, სკოლის მოსწავლეები წარმატებით აბარებენ როგორც საატესტატო, ასევე ერთიან ეროვნულ გამოცდებს. სკოლა-კოლეჯი მონაწილეობს სამოქალაქო აქტივობებსა და ღონისძიებებში, სხვადასხვა პროექტებსა და ოლიმპიადებში. პედაგოგებისადმი მთავარი მოთხოვნა არამხოლოდ საგნის ცოდნა და სქემაში ჩართულობა, არამედ თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნაა, მოსწავლეთა წარმატებული მომავალი, სწორედ მასწავლებელზეა დამოკიდებული. მყავს საამაყო კოლექტივი, ესენი არიან: უფროსი პედაგოგები – **ეკატერინე ხუნაშვილი** (ქართული ენა და ლიტერატურა), **ლალი ჩომახიძე** (ინგლისური ენა), **ირინა ზედგინიძე** (ქიმია), **ნანა ცომაია** (ბიოლოგია), **შორენა ტაბატაძე** (ისტორია, სამოქალაქო განათლება); **მაია მიდელაშვილი** (ქართული ენა), **თამარ პაპოშვილი** (ინგლისური ენა), **ანი სამყურაშვილი** (გეოგრაფია), **თამარ ვაშაკიძე** (რუსული ენა), **ნინო ჩუბინიძე** (მათემატიკა), **გიორგი ობგაიძე** (მათემატიკა, საგზაო ნიშნები), **ლევან ბრეგვაძე** (სპორტი), **შოთა ქადარია** (ჭადრაკი).

სასწავლო პროცესის ხარისხზე ზრუნავს და ქალბატონ ირინასთან ერთად, ამ ურთულეს საქმეს ემსახურება დირექტორის მოადგილე **ნანა**

ჩერქეზიშვილი. პედაგოგებისათვის სიახლეების გაცნობას, საგაკვეთილო პროცესში დამატებითი აქტივობების საჭიროებების გამოვლენა-დახმარებას ახორციელებს ფასილიტატორი **ეკატერინე ხუნაშვილი**.

წარმატებით დაასრულეს გასული სასწავლო წელი მეთორმეტეკლასელებმა. ჰყავდათ მედალოსნები – **სალომე ნიშნიანიძე** (ოქრო), **ანი აბრამიშვილი** (ვერცხლი); კინგსის ოლიმპიადის გამარჯვებული **ლუკა ირემაშვილი.** ორი კურსდამთავრებული **ბიძინა ღვინიაშვილი** და **თამთა ისახანაშვილი** ნიუ-იორკისა და მადრიდის პრესტიჟული უნივერსიტეტების სტუდენტები არიან.

სკოლა აქტიურად იყო ჩართული სამოქალაქო განათლების პროგრამაში. სკოლის პედაგოგი **შორენა ტაბატაძე** თბილისის საუკეთესო სამოქალაქო განათლების პედაგოგად აღიარეს.

საუბარში ჩაერთო **ანი სამყურაშვილი**, გეოგრაფიის მასწავლებელი: „ტარდება კავკასიის ღია ჩემპიონატი **„შენ ხარ ნიჭიერი,“** გუნდური ინტელექტუალური თამაში – ტვინების ბრძოლა. ეს არის ინტელექტუალური პაექრობა კავკასიის 4 ქვეყანას შორის. პირველ ეტაპზე, შიდა სასკოლო შეჯიბრში მეთერთმეტე კლასელებმა გაიმარჯვეს.“ ერთ-ერთი ბოლო აქტივობა, რომელიც სკოლაში ჩატარდა თვითმმართველობის არჩევნებია. სკოლა-კოლეჯის მოსწავლეთა თვითმმართველობა აქტიურად არის ჩართული სკოლა-კოლეჯში მიმდინარე როგორც სასწავლო, ისე კლასგარეშე შემეცნებით ღონისძიებებში.

სკოლას აქვს 3 კომპიუტერული ცენტრი, ფიზიკა-ქიმია-ბიოლოგიისა და კბილის სატექნიკო ლაბორატორიები და ბიბლიოთეკა.

– ქალბატონო ირინა, როგორი ურთიერთობა გაქვთ მოსწავლეებთან?

– აქ, სხვადასხვა სკოლიდან გადმოსული მოსწავლეები არიან, რომლებიც მე არ გამიზრდია, არ ჩამიდია მათში ის ღირებულებები, რომლებიც აყალიბებს თავისუფალ პიროვნებას, მე მათ ვიღებ ისეთებს, როგორებიც არიან, ვეძახი „სხვის შვილებს“, რომლებიც აქ მოსვლის წუთიდან, **„ჩემი შვილები“** ხდებიან. ჩვენი ფორმულა ძალიან მარტივია — **წრფელი სიყვარულით გიყვარდეს შენი მოსწავლე, მასთან ერთად გაიარე ყველა სირთულე, გესმოდეს, მოუსმინე და პატივი ეცი მას.**

მინდა აღვნიშნო, რომ ამ სკოლაში პროცენტული მაჩვენებლით ბიჭები სჭარბობენ გოგონებს. მიღება მიმდინარეობს გასაუბრებისა და ტესტირების საფუძველზე. მთელი წლის განმავლობაში მოსწავლეებთან მუშაობს ფსიქოლოგი **მანანა ოზიაშვილი** და წლის ბოლოს გაიცემა მოსწავლის **„ფსიქოლოგიური პორტრეტი“.**

– თქვენს მოსწავლეებს/ პროფესიულ სტუდენტებს აქვთ თუ არა საწარმოო პრაქტიკის გავლის შესაძლებლობა?

– დიახ, ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით მოპოვებული გვაქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლების უფლება და პროფესიული პროგრამების შესაბამისად, გაფორმებული გვაქვს ხელშეკრულებები საწარმოო ბაზებთან: **„დენტექს ლაბ 95“,** ტექნიკური უნივერსიტეტის ლაბორატორია, საადვოკატო ბიურო – **„ნანა წულაძე და პარტნიორები“,** შპს **„აითი პრო“,** შპს **„MBC“,** შპს **„ალკორითეილ გრუპ“,** სს. **„არდი დაზღვევა“.**

სკოლა-კოლეჯი ორიენტირებულია ზოგადი და პროფესიული განვითარების თანამედროვე პრინციპებსა და მოდელებზე, სასწავლო პროცესის ხარისხსა და პედაგოგების პროფესიონალიზმზე, პროფესიული განათლების ზოგად განათლებასთან ინტეგრირებასა და მოსწავლეთათვის შესაბამისი წინაპირობის შექმნაზე, მომავალი არჩევანის გაკეთებაზე, კარიერის დაგეგმვასა და შემდგომ სწრაფ დასაქმებაზე. სკოლა-კოლეჯის კურსდამთავრებულზე გაიცემა სრული ზოგადი განათლების ატესტატი და სახელმწიფოს მიერ აღიარებული III საფეხური პროფესიული დიპლომი.

ჩვენს საგაზეთო წერილს დიმიტრი ყიფიანის სიტყვებით დავასრულებთ: „სწავლა აპატიოსნებს კაცსა, აფაქიზებს, აღონიერებს, ზეაღავლენს და ღირსჰყოფს... განათლება ყველას გვათანასწორებს“.

ნათია გურგენიძე

„აკადემოსი“ კერძო სკოლებს შორის საუკეთესოა

პოზიტიურ და თბილ გარემოში

თბილისში, დიღმის მასივში, ტერევერკოს ქუჩაზე, კერძო სკოლა **„აკადემოსი“** 1999 წელს ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთავარმა მეცნიერ-თანამშრომელმა (უვადო), ილიას უნივერსიტეტის საპატიო პროფესორმა, ი. გოგებაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატმა და ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა **იზა ჩანტლაძემ** დააარსა. ქალბატონი იზა 10 წიგნის ავტორი და 28 დოქტორის აღმზრდელ-ხელმძღვანელია. საგანმანათლებლო პროცესის მრავალფეროვნებასა

იზა ჩანტლაძე

და ბავშვებისათვის მყუდრო, თბილი გარემოს შექმნაზე დიდხანს ფიქრობდა. ოცნება მალე აისრულა და სწავლების თანამედროვე სტანდარტებისა თუ ინოვაციების დანერგვაში სკოლის დირექტორ **თამარ ჩანტლაძესთან** ერთად, წლებია მუხლჩაუხრელად შრომობს. ქალბატონი თამარი პროფესიით ექიმი-კარდიოლოგია, ბავშვის ფსიქოლოგიას კარგად იცნობს და მათთან მიდგომის საოცარი მეთოდი აქვს. ჩემი სტუმრობის დროს კაბინეტში პატარა მტირალი ბიჭუნა შემოიყვანეს, სულ რაღაც 5 წუთში კი გაღიმებული და ბედნიერი გაიქცა საკლასო ოთახში.

სკოლაში სასწავლო პროცესი უახლესი მეთოდებითა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით მიმდინარეობს — საგნობრივი მრავალფეროვნება, უცხოური ენების გაძლიერებული სწავლება, მცირეკონტინგენტიანი კლასები და მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კოლექტივი — მთლიანად გამორიცხავს რეპეტიტორის საჭიროებას. ახალი სტანდარტების ორსართულიანი შენობა ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს, აღჭურვილია უსაფრთხოების მექანიზმით, თანამედროვე ინფრასტრუქტურითა და სასწავლო ინვენტარით. აქვთ საკუთარი ჰიმნი, რომლის ტექსტის ავტორი ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი **დარეჯან კვანჭიანია**, მუსიკის ავტორი კი კომპოზიტორი **კახა ცაბაძე**.

სკოლის დაარსების დღიდან ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდაში თავისი წვლილი შეაქვს დირექტორის მოადგილე **თამარ ორმოცაძეს**, ხარისხის და მართვის ხელმძღვანელს **ნინო ჩანტლაძეს**, სასწავლო პროცესის სწორად წარმართვაში დირექტორის გვერდით არიან მოადგილეები — **თამარ კულულაშვილი, გურამ ბენდიანიშვილი** და სასწავლო ნაწილის გამგე დაწყებით საფეხურზე **ნონა გორგილაძე**. თავისი საქმის საუკეთესო სპეციალისტები არიან დირექტორის თანაშემწე **მაია მურვანიძე**, ფინანსური მენეჯერი **ნაზი ჯანანაშვილი-ბრეგაძე** და უსაფრთხოების სამსახურის უფროსი **ლამზირა დაშნიანი.**

მოსწავლეზე ორიენტირებული ინდივიდუალური მეთოდით სწავლებისათვის, მრავალფეროვანი სასწავლო პროგრამების სრულყოფა-განახლებისა თუ კონფერენციებსა და ოლიმპიადებში წარმატებისათვის უდიდესი პასუხისმგებლობით უდგებიან თავიანთ საქმეს წამყვანი პროფესიონალი პედაგოგები: **ნინო ჩანტლაძე** (მათემატიკა, ხარისხი და მართვა), **ხატია ბიბილური** (ინგლისური ენა), **მაია ცინცქალაძე** (ისტორია), **ნატო ჩხაიძე** (მუსიკა), **ნინო კვარაცხელია** (რუსული ენა), **ლილი მიქელაძე-თულაშვილი** (რუსული ენა), **ია ბრეგვაძე** (ქართული ენა), **ნათია ფერაძე** (ქართული ენა), **მთვარისა გულიაშვილი** (ბიოლოგია).

მოსწავლეებს საუკეთესო განათლებას აძლევენ, ლიტერატურისა და ისტორიის, საბუნებისმეტყველო, საზოგადოებრივი, თუ ზუსტი მეცნიერებების სამყაროში ამოგზაურებენ პედაგოგები: **ია ბრეგვაძე** (ქართული ენა), **მალხაზ შატბერაშვილი** (ფიზიკა), **თამარ კვიციანი** (ინგლისური ენა), **ნატო მოსიაშვილი** (გეოგრაფია), **ნინო დათაშვილი** (სამოქალაქო განათლება), **ელისო კაპანაძე** (ქიმია), **თეონა ნადირაძე** (მათემატიკა), **ინგა ყურაშვილი** (სპორტი). სკოლაში ფუნქციონირებს თანამედროვე სტანდარტების ბიბლიოთეკა (ბიბლიოთეკარი **ნანა არაბული**).

დაინტერესებული მოსწავლეებისათვის სკოლაში ეფექტურად მუშაობს სხვადასხვა წრე, როგორიცაა — თეატრალური სტუდია (ხელმძღვანელი — რეჟისორი **ლაშა გოგნიაშვილი**); ქორეოგრაფიული წრე (ხელმძღვანელი **ზაზა ბიბილეიშვილი**); ფერწერისა და თექის (მხატვარი **მარინა ჯაფარიძე**); აერობიკის (**დიანა ცინცაძე**), ვოკალის წრე (**ნატა ჩხაიძე**), ჭადრაკის წრე (**თენგიზ მინდიაშვილი**) და სხვა.

წარმატების მხრივ ყოველი წელი გამორჩეულია, სკოლაში სულ 155 მოსწავლეა. სააბიტურიენტო ჯგუფში კი ყოველწლიურად რამდენიმე მედალოსანია. მოსწავლეთა 90% პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებლების გრანტის მფლობელები გახდნენ;

პედაგოგ **თამარ ორმოცაძის** მოსწავლეები — **ნინო ალიხანაშვილი, მარიამ აფაქიძე, ნინო გოგიბერიძე, ნიკოლოზ ნასყიდაშვილი, გვანცა თულაშვილი, მზია მეზვრიშვილი** 2017-18 სასწავლო წლის ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში საქართველოს მასშტაბით სამეულში გავიდნენ, თბილისის მასშტაბით კი პირველი ადგილი დაიკავეს;

სკოლაში მუშაობს ლიტერატურული სალონი (ხელმძღვანელი **ნათია ფერაძე**), რომელიც შემოქმედ მოსწავლეთა ლიტერატურულ კრებულს გამოსცემს.

ორანიზაცია Georgian youth for Europe-ს შემოთავაზებული პროექტითა და სრული დაფინანსებით მოსწავლეები — **გვანცა თულაშვილი, ნინო გოგიბერიძე** და **მზია მეზვრიშვილი** (ჯგუფის ხელმძღვანელი **ხატია ბიბილური**) სულ ახლახანს დაბრუნდნენ ბალტიისპირეთიდან. პროექტი განიხილავდა ეკოლოგიის საკითხებსა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას (სამუშაო ენა — ინგლისური). მოსწავლეებმა უცხოელ ახალგაზრდებთან ერთად იმუშავეს ზღვის დაბინძურების საკითხებზე, ასევე საქართველოს გაცნობის მიზნით ერთი დღე მიუძღვნეს შავი ზღვის პრობლემებსა და სხვა თემებს.

სკოლის ბაზაზე ფუნქციონირებს თანამედროვე დიზაინის სასწავლო ოთახებითა და უსაფრთხოებით უზრუნველყოფილი სკოლამდელი აღზრდის ცენტრი, სადაც პედაგოგები — **ნატო გაჩეჩილაძე, ლელა ნოზაძე** და **მზია კუსუროვა** — პატარებისთვის ჯანსაღ და სახალისო გარემოს ქმნიან, სასადილოში კი **ქეთევან წიკლაური, მანანა გობეჯიშვილი** და **იამზე ჩაჩავა** უგემრიელესი კერძებით უმასპინძლდებიან.

ახალ სასწავლო წელს საკმაოდ საინტერესო ახალი პროგრამებით შეხვდნენ. მოსწავლეებს შესაძლებლობა მიეცათ უფასოდ დაესწრონ TOEFL-ის საერთაშორისო პროგრამების ინგლისური ენის კურსებს და აიღონ, ცოდნის დონის შესაბამისი სერთიფიკატი;

თითქმის ასწლიან ისტორიას ითვლის მსოფლიოში ცნობილი ერთ-ერთი დიდი საგანმანთლებლო ორგანიზაცია **„ჯუნიორ ეჩივმენტი“,** რომელიც ახალგაზრდებს მეწარმეობას, დასაქმებისადმი მზაობას და ფინანსურ წიგნიერებას ასწავლის. სკოლაში სიახლეა აგრეთვე, **„მეწარმეთა კლუბის“** შექმნა, სადაც სწავლა უფასოა და ხარჯებს სკოლის დირექცია აფინანსებს. ამ პროგრამის ქართული ვერსიის დახმარებით მოსწავლეებს უმუშავდებათ კრიტიკული აზროვნება, გადაწყვეტილების მიღება, ლიდერობა, გუნდურობა და სხვა სამეწარმეო უნარები.

როგორც **თამარ ჩანტლაძემ** აღნიშნა, სკოლის მიზანი მაღალზნეობრივი და ეროვნული ფასეულობების მქონე პიროვნების ჩამოყალიბებაა. საოცრად თბილ ურთიერთობაში, რომელიც მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის იგრძნობა, ადვილად დაინახავთ სიყვარულს, მეგობრობასა და ურთიერთპატივისცემას, რომელიც გიქმნით განწყობას, ანდოთ თქვენი შვილების მომავალი კერძო სკოლა **„აკადემოსის“** პროფესიონალებს.

მარიამ ღონღაძე

წარმატებული სასწავლო ცენტრი

ხარისხიანი განათლება — ხელმისაწვდომ ფასებში



ნანა წიკლაური

დედაქალაქში მომრავლებულ სასწავლო ცენტრებს შორის მოწინავე პოზიციას ინარჩუნებს **„სამყარო“,** რომელიც მაღალ შედეგებზეა ორიენტირებული და ღირსეულად ატარებს პოპულარული სასწავლებლის სტატუსს.

თბილისში სასწავლო ცენტრი **„სამყარო“** დაარსდა 2008 წელს და მისი დამფუძნებელია ფიზიკოს – მათემატიკოსი, სერთიფიცირებული პედაგოგი **ნანა წიკლაური.** ცენტრის წარმატება გარკვეულწილად, მისი ხელმძღვანელის და შესანიშნავი მენეჯერის ქალბატონი ნანას დამსახურებაა, რომელიც გამოირჩევა საქმისადმი თავდადებით და დიდი პროფესიონალიზმით. ამიტომაც არის, რომ **„სამყარო“** ყოველწლიურად 150-200 მსმენელს იღებს.

ნანა წიკლაური: ჩვენი საქმიანობიდან გამომდინარე, შემიძლია გითხრათ, რომ **„სამყარო“** ყველაზე გამოცდილი ცენტრია თბილისში. ჩვენ მსმენელებს ვუქმნით კომფორტულ და სასიამოვნო გარემოს. მოსწავლეებს ვთავაზობთ მომზადებას ერთიანი ეროვნული, საერთო სამაგისტრო და სკოლის გამოსაშვები გამოცდების წარმატებით ჩასაბარებლად. ჩვენთან ფუნქციონირებს 5 სპეციალიზირებული სექტორი, ესენია: **უცხო ენები** (ინგლისური, გერმანული, რუსული, ბერძნული, სპარსული, თურქული, ფრანგული და სხვა) **ჰუმანიტარული საგნები** (ქართული ენა და ლიტერატურა, საქართველოსა და მსოფლიოს ისტორია, სამოქალაქო განათლება); **ტექნიკური საგნები** (მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია); **ზოგადი უნარების** ორივე ნაწილი (ვერბალური და მათემატიკური); ასევე – **ბუღალტერიის** და **საგადასახადო** საქმის კურსები.

საგულისხმოა, რომ ცენტრი **„სამყარო“,** პროგრამის დასრულების შემდეგ გასცემს შესაბამის სერთიფიკატს. აღნიშნული სერთიფიკატით კი, მსმენელები წარმატებით მუშაობენ უცხოეთში და ასევე. უცხოელებიც საქართველოში.

სასიამოვნოა, ის ფაქტი, რომ ცენტრს ყოველწლიურად ჰყავს მოსწავლეები ჩვენი ისტორიული კუთხიდან – **საინგილოდან,** რომლებიც აქ ეროვნული გამოცდებისთვის ემზადებიან. **„სამყაროში“** მუშაობენ გამოცდილი, სერთიფიცირებული პედაგოგები. ესენია: ფიზიკის მასწავლებელი **ნინო ქევხიშვილი.** ქიმიის **მაია ჩხაიძე და მარიამ ურთაძე**. გეოგრაფიას და ბიოლოგიას წარმატებით უძღვება სერთიფიცირებული პედაგოგი **ირმა თოდუა** ქართული ენა და ლიტერატურას კი **ეთერ გვალია** და **ნინო გრძელიშვილი,** ისტორიასა და სამოქალაქო განათლებას შესანიშნავად აბარებენ **სოფიო პაიკიძე-ამაშუკელის** აბიტურიენტები, მათემატიკასა და ზოგად უნარებს უძღვება **ნანა წიკლაური.**

ცენტრში, უცხო ენების სწავლება მიმდინარეობს სხვადასხვა დონეების მიხედვით.

ინგლისურ ენას უძღვებიან: **ეკა უსენაშვილი, ინგა ხაჩიური, ნინო ნარმანია,** ხოლო გერმანულს და იტალიურს **ნათია გელაშვილი.** რუსულ ენას **ნესტან ქარდავა.**

როგორც **„სამყაროს“** ხელმძღვანელმა აღნიშნა, სასწავლო პროცესში თითოეულ მოსწავლეს ინდივიდუალურად უქმნიან სწავლისთვის საჭირო გარემოს და აქვთ უშუალო კონტაქტი მშობლებთან; მსენელებს ეხმარებიან პროფესიის განსაზღვრაში, საგნების, უნივერსიტეტებისა და ფაკულტეტების შერჩევაში და ა.შ.

„სამყარო“ მდებარეობს ქალაქის ცენტრში (კოსტავას №11). სასწავლო პროგრამა სრულიად შეესაბამება ერთიანი ეროვნული გამოცდების სტანდარტებს და მსმენელებს საშუალება აქვთ, მისაღებ ფასებში მიიღონ ხარისხიანი განათლება.

ასე რომ, სწავლის მსურველებო! **„სამყარო“**-ში გელოდებათ კარგად მომზადებული საგანმანათლებლო ბაზა და მაღალკვალიფიციური პედაგოგები, რომლის შემდეგაც წარმატება გარანტირებულია!

მზია გოგოძე



„ბრაალი“ ახალ სიმაღლეებს უმიზნებს

ბევრს ზრუნავენ ინტელექტუალების ჩამოყალიბებაზე

ქეთევან ლომინაძე

– **განათლებული,** მოტივირებული, საკუთარ ძალებში დარწმუნებული ახალგაზრდა მოიტანს ქვეყნისთვის დიდ სიკეთესა და წინსვლასაც, – ასე ფიქრობენ კერძო სკოლა **„გრაალში“,** სადაც მოწავლეებს ინოვაციური მეთოდებით და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად ზრდიან. სკოლა დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით და ინფრასტრუქტურაც მოწესრიგებულია.

სკოლის დირექტორის **ქეთევან ლომინაძის** თქმით, **„გრაალი“** წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებას და მიზნად ისახავს მოსწავლეთა ნიჭისა და უნარის მაქსიმალურ გამოვლენა-განვითარებას. სკოლის ერთ-ერთი და უმთავრესი მიზანია მოზარდის სულიერი და ინტელექტუალური ფორმირება, მისი მომავლის განსაზღვრა და რჩევის მიცემა – პროფესიის შერჩევისას.

კერძო სკოლის თითოეულ კლასში 10 მოსწავლეა. გაკვეთილზე მოზარდების სიმცირე კი ხარისხიანი განათლების საწინდარია, რათა სრულფასოვნად და ყოველდღიურ რეჟიმში მოხდეს თითოეული მოსწავლის გამოკითხვა და შეფასება. **„გრაალ“-**ში ისწავლება ოთხი უცხო ენა: **ინგლისური, გერმანული, იტალიური** და **რუსული;** ასევე, მისასალმებელია ის სიახლე, რომ მოსწავლეთა სწრაფი აზროვნებისა და ლოგიკის განვითარების მიზნით, ზოგადი უნარების კურსი – სასწავლო პროგრამაშია შეტანილი.

სკოლაში ხშირად იმართება შემოქმედებითი ღონისძიებები და სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო აქტივობები. ყოველწლიურად ტარდება სპორტული შეჯიბრებები, მოსწავლეები მონაწილეობენ როგორც ეროვნულ სასწავლო, ასევე კერძო ორგანიზაციების მიერ გამართულ სასკოლო (ევერესტი, კინგსი, რობინსონი, ...) ოლიმპიადებსა და სხვადასხვა ღონისძიებაში.

ქეთევან ლომინაძე: გვყავს მოწვეული პედაგოგები, სასკოლო გრიფირებული წიგნის ავტორები, რომლებიც ინდივიდუალურად მუშაობენ მოსწავლეებთან. შაბათ-კვირას, ხდება ბავშვების მიერ გაცდენილი საათების აღდგენა.

საგულიხმოა, რომ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა მომზადებას, როგორც საატესტატო, ასევე ეროვნული გამოცდებისთვის. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მოსწავლეები, ეროვნული გამოცდებისთვის მეცადინეობას განაგრძობენ ივლისის შუა რიცხვებამდე (ანუ მისაღებ გამოცდებამდე).

რაც შეეხება სახელწოდებას და რატომ **„გრაალი?“ “წმინდა გრაალის“** თასი ქრისტიანულ სარწმუნოებაში, უფლის სისხლისა და ხორცის - მისი წმინდა ზიარების სიმბოლოა. გრაალი არის ცნობიერების ამაღლების,

სულიერი განათლების ნიშანი. სკოლის მისიაც ხომ სწორედ მოზარდთა სულიერი წვრთნა, გონებრივი შესაძლებლობების განვითარებისა და პიროვნული თვისებების სრულყოფაა. სწორედ ამიტომ უწოდეს სკოლას **„გრაალი“.**

სკოლა „გრაალს“, თავის არსებობის მანძილზე, როგორც გამოსაშვებ (GAT-is), ასევე ერთიან ეროვნულ გამოცდებზე 100%-იანი მოსწრება აქვს. სკოლის კურსდამთავრებულები წარმატებით აგრძელებენ სწავლას, როგორც ქვეყნის, ასევე ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტში. 2018-2019 სასწავლო წელს

სკოლამ დაამატა მოსწავლელთათვის 30 კომპიუტერი, რომლებითაც აღიჭურვა საკლასო ოთახები. ასევე 2018-2019 სასწავლო წელს მეორე ენად დაემატა ერთი კიდევ ევროპული ენა (იტალიური), გაფორმდა მემორანდუმი მოსწავლეთა და მასწავლებელთა გაცვლით პროგრამებზე. სკოლის წარმატებულ კურსდამთავრებულებს, შესაძლებლობა აქვთ სწავლა განაგრძონ იტალიის უმაღლეს სასწავლებლებში.

კერძო სკოლას ჰყავს ოთხი უფროსი მასწავლებელი, რომლებიც მაღალი კვალიფიკაციის არიან და შესანიშნავად უძღვებიან სასწავლო პროცესს.

გასულ 2017-2018 სასწავლო წელს, სკოლის 10 კურსდამთავრებულიდან ორი ოქროს მედალოსანია: **მარია სურმავა** და **სოფიკო თურმანიძე**. საამაყოა ის ფაქტიც, რომ კურსდამთავრებულებმა წარჩინებით ჩააბარეს ერთიანი ეროვნული გამოცდები, მაგალითად, **მარია სურმავამ** და **ბექა ბაკურაძემ** – 100% გრანტი მოიპოვეს, **სალომე მეტრეველმა** და **სოფიკო თურმანიძემ** კი 70%, ხოლო **ივა ფერაძემ** და **ანა ილაშვილმა** 50%.

აღსანიშნავია, რომ სკოლა **„გრაალი”** წარმოადგენს ქართული სახელმწიფოებრიობის უდიდეს ქვაკუთხედს, რომელიც ახორციელებს სრულფასოვან და დემოკრატიულად განწყობილ მოქალაქეთა აღზრდას. ეს ხომ დღეს ყველაზე მნიშვნელოვანია.

მზია გოგოძე

მიკრორეპლიკა

შერიგდით, ბიჭებო!

ახლახან გაზეთ **„ლიტერატურულ საქართველოში“ გიორგი ლეონიძის „ყივჩაღის პაემანის“** თემაზე „ფილაფოზი“ და პედაგოგი (ორივე ზურა, ხასაია და ცუცქირიძე, მეცნდოქტორია. პედაგოგი ზურა აკადემიკოსიც არის, მაგრამ არსად ამბობს.) წაკინკლავდნენ. მივესალმებით პაექრობას – ლიტერატურული ცხოვრება უნდა ჩქეფდეს, აბა-რა! ყოველ აზრს, ობიექტური იქნება, თუ სუბიექტური, სწორი თუ მცდარი, ხომ აქვს არსებობის უფლება? აბსოლუტური ჭეშმარიტება აბა, სად არის? მაგრამ...

ხომ შეიძლებოდა ეს **„პოლემიკა“** არა გაცხარებული ტონით, ყოველგვარი ირონიის, ცინიზმისა და ქედმაღლობის გამორიცხვით, თავაზიანობის ნიშნით შემდგარიყო? ადვილად შეიძლებოდა! არ არის საჭირო: „მე ესა ვარ, შენ ისა ხარ!“ მაშ, შერიგდით, ბიჭებო!

P.S. აი, უკვე მაკეტში უნდა შეგვეტანა მიკრორეპლიკა და „ლიტსაქართველოში“ (26. X. 2018) გავეცანით **„პასუხის პასუხს“ ზურაბ ცუცქირიძისა.** მიუხედავად იმისა, რომ მთლიანად ვიზიარებ ავტორის თვალსაზრისს, მაინც დამეუფლა უკმარისობის გრძნობა. მართალია, მოზომილად, მაგრამ მაინც შერბილებულ ფორმებში კვლავ გრძელდება იგივე ტონი (გნებავთ გაბრაზებული) პოლემიკისა. არ მინდა ეს ტენდენცია ისევ დარჩეს კრიტიკოსთა არსენალში. არ მინდა თქვენი ნიჭი და ემოციები ასეთ წვრილმანში იხარჯებოდეს. „ჩიტი ბდღვნად არ ღირსო“. თუმცა ერთ რამეში ცამდე მართალია ბატონი ცუცქირიძე, კეთილი რჩევის მიმცემ კაცს კი არ უნდა გაუბრაზდე, არამედ – საკუთარ თავს, რატომ დავიმსახურე ეს შენიშვნაო. დღეს საშინელი ვითარებაა: მავანს კეთილ შენიშვნას რომ მისცემ, თუნდაც მამაშვილური დარიგება იყოს, მტერი, უკეთეს შემთხვევაში ოპონენტი ჰგონიხარ.

თქვენი კეთილისმსურველი,

მოსე მწერალი

წარმატებებს გისურვებთ „ოაზისელებო“!

საქმის სიყვარულია გამარჯვების საწინდარი

თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემა სწავლა-სწავლებასთან ერთად, მთავარ პრიორიტეტებად მოსწავლეთა სულიერ აღზრდასა და მათ ღირსეულ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას გულისხმობს. კერძო სკოლა **„ოაზისში“** გუნდურობით, ურთიერთშეთანხმებით, კოლეგიალობით გეგმავენ და ახორციელებენ იმ უმთავრეს სამუშაოებს, რასაც ბავშვთა ჯანსაღი და ჰარმონიული აღზრდა ჰქვია. სკოლა 2000 წელს დიდად გამოცდილმა პედაგოგმა **ნაირა დოლიძემ** დააფუძნა. იგი პროფესიით ფიზიკოსია, წლების მანძილზე მუშაობდა საგანმანათლებლო სისტემაში და კარგად იცოდა, სად, რა პრობლემა იყო. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა ნაძალადევის რაიონში ბავშვებისათვის კეთილგანწყობილი გარემო შეექმნა, რომელიც იქაური მოსახლეობისათვის ნათელი წერტილი იქნებოდა. თავდაპირველად, 112-ე საჯარო სკოლის შენობაში იყვნენ, ამჟამად კი **„ოაზისი“** ც.დადიანის ქუჩაზე, იჯარით აღებულ ფართში ფუნქციონირებს. სკოლას ერთად მართავენ დამფუძნებელი და დირექცია – დირექტორი **იოსებ დოლიძე**, რომელიც საუკეთესო მენეჯერია და დირექტორის მოადგილეები პედაგოგიური განათლებით **ნანა დოლიძე** და **ეკა მამალაძე**.

ნაირა დოლიძე: „ჩვენთან სულ 195 ბავშვი სწავლობს. ყოველწლიურად სკოლას 25-27 მოსწავლე ამთავრებს და მათი დიდი უმრავლესობა წარმატებული უმაღლესი სასწავლებლების გრანტის მფლობელი ხდება. ჩვენი მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ საქალაქო ოლიმპიადებში, საგანმანათლებლო პროექტებში

და შედეგებიდან გამომდინარე დირექცია დებს დასკვნებს, რა საკითხია ყურადსაღები, რა გააძლიერონ და როგორ გააუმჯობესონ კიდევ უფრო სწავლის ხარისხი, რაც რეპეტიტორის გარეშე სწავლების გარანტიას იძლევა.“

სკოლაში ტარდება სწავლა-სწავლებაზე გათვლილი ექსკურსიები, როგორიცაა მოსწავლეთა სტუმრობა სახალისო მეცნიერებათა მუზეუმ ექსპერიმენტორიუმში, შატო მუხრანში – მუხრანის სავანეში, ზედაზენზე და ბევრი სხვა; აქტიურად მონაწილეობენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაგეგმილ საქალაქო ღონისძიებებში.

სპორტის პედაგოგ **არჩილ მუხიგულის** ხელმძღვანელობით, სხვადასხვა კლასის მოსწავლეები მონაწილეობდნენ საქართველოს კორპორატიული სპორტის ფედერაციის მიერ ლისის ტბაზე ჩატარებულ მარათონში; წარმატებით იასპარეზა ჭადრაკის (ხელმძღვანელი **დავით ჯაფარიძე**) ტურნირზე **„ოაზისის“** გუნდმა (**გიგი ბარბაქაძე, ანდრია მჭედლიშვილი, გიორგი ბელქანია, ნიკოლოზ ბრეგვაძე, პაატა მიქიაშვილი, საბა ბარამიძე**); ასევე წარმატებულია მუსიკალური წრე (ხელმძღვანელი **ნათია გურასპაშვილი**), რომლის მოსწავლეებიც სასკოლო ღონისძიებების აქტიური მონაწილეები არიან.

„ოაზისი“ ცოდნის ის კერაა, სადაც მაღალკვალიფიციური უფროსი პედაგოგები: **ნანა ცქვიტარია** (დაწყებითი კლასები), **ნათია დარახველიძე** (ქართული ენა და ლიტერატურა), **მიმოზა კაკაბაძე** (ქართული ენა), **ანჟელა ბრეგვაძე** (მათემატიკა), **ირმა ღონღაძე** (რუსული) სწავლების მაქსიმალურ შედეგს აღწევენ.

უახლესი მეთოდებითა და ტექნოლოგიებით სასწავლო პროცესს სწორად წარმართავენ პრაქტიკოსი პედაგოგები: **ნინო ივანიძე** (დაწყებითი კლასი), **ირმა ძაგნიძე** (დაწყებითი), **თამარ შერაზადიშვილი** (დაწყებითი), **ნინო ქსოვრელი** (ხელოვნება), **ლელა ლომიძე** (მათემატიკა), **მაია მდინარაძე** (ისტორია), **დარიკო ხარაული** (გეოგრაფია), **მანონი სიხარულიძე** (გეოგრაფია), **მერი ჩუბინიძე** (ფიზიკა), **თამარ ჭელიძე** (ბიოლოგია), **ციალა პაპიაშვილი** (ქიმია), **ჯემალ ჯიქია** (ისტ), **მანანა სვიმონია** (რუსული), **ილია ყუთლაშვილი** (ისტორია), **პაატა ქოჩორაშვილი** (სამოქალაქო განათლება), **ია ჭელიძე** (სპორტი); ინგლისური ენის პედაგოგები – **მანანა ტუხაშვილი, ნინო მექვაბიშვილი, ხათუნა შოთაშვილი.**

სკოლაში I-VIII კლასების ჩათვლით, 18 საათამდე, ორჯერადი კვებით, ფუნქციონირებს გახანგრძლივებული დღის ჯგუფი. აქ მაღალი კლასის აღმზრდელ-პედაგოგები: **აზა გოგალაძე, მთვარისა კაკაბაძე, ქეთევან გიორგაძე** და **მარი წიგნაძე** მოსწავლეებს გაკვეთილების მომზადებაში ეხმარებიან. ფუნქციონირებს აგრეთვე, ბიბლიოთეკა (ბიბლიოთეკარი **ირმა თხელიძე**).

წარმატებით მოღვაწეობენ სკოლაში არსებული საგნობრივი კათედრები: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა (ხელმძღვანელი **მიმოზა კაკაბაძე**), ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა (**ლელა ლომიძე**), უცხო ენათა (**ნინო მექვაბიშვილი**), დაწყებითი საფეხურის (**ნინო ივანიძე**), ფიზიკური და ესთეტიკური აღზრდის (**ნინო ქსოვრელი**), სადაც ეწყობა ერთობლივი შემეცნებითი საღამოები, ღონისძიებები, ხორციელდება პროექტები, ტარდება ვიქტორინები და ინტეგრირებული გაკვეთილები. მოტივირებულ პედაგოგთა გუნდი სწავლების მაღალი ხარისხისათვის თავდაუზოგავად შრომობს.

ნანა დოლიძე: „აქ ისეთი ატმოსფეროა, რომ ბავშვი ბედნიერია, აქ იმიტომ მოუხარია, რომ იცის, მას პატივს სცემენ როგორც პიროვნებას და თავს გრძნობს უსაფრთხოდ. მასწავლებლობა რთული პროფესიაა, ბავშვი უნდა გიყვარდეს და ენდობოდე. მშობელი ყოველთვის საქმის კურსშია, იცის, რა ხდება სკოლაში, სად უჭირს მის შვილს და სად არა, დიდია ჩართულობა. აქ აღზრდა-სწავლების მაქსიმალურ შედეგს აღწევენ და კეთილგანწყობილი გარემოა. იმედი მაქვს, ჩვენი სკოლის მოსწავლეების სახით, ქვეყანას ღირსეული მამულიშვილები ეზრდება“.

კიდევ ბევრი კარგი რამ დაგვრჩა უთქმელი, რასაც ერთ საგაზეთო წერილში ვერ ჩავატევთ და გვჯერა, რომ **„ოაზისი“** წარმატებულ სკოლათა შორის კვლავ ერთ-ერთი მოწინავე იქნება.

ნათია გურგენიძე

ერთი ლექსის ზეიმი

ნაირა ნიკარაძე

ჩვენს რაინდებს

ლევანს, გიორგის, შალვას

– თქვენ გაგიმარჯოთ, არ ხართ ობლები,
ააღორძინოთ უნდა სოფლები,
ახლა ცხოვრების თქვენი ჯერია,
და გააჩაღოთ სახლში კერია.

აბა, რას გარგებთ ეს გრძელი წვერი,
სამგლოვიარო და შავი ფერი?!

ასე დადიან აქ მხოლოდ მღვდლები,
ვინაც გალია მრავალი წლები.
რად დაიხატეთ ტანზე ფრინველი,
რომ გააოცოთ თქვენი მხილველი!?

არა სჯობია კოხტად იაროთ,
მზეს შემოსცინოთ, შემოიაროთ?!
თქვენ შემოგყურებთ ქალიშვილები,
ახალ ოცნებით, ახალ ხილვებით.

ყველას სწყურია სიყვარული და,
ქალი თავის სწორს მუდამ უვლიდა.

გახსენით თვალი, დაუგდეთ ყური,
როგორ გუგუნებს პატარა გული.
ამრავლეთ ერი, იცვალეთ ფერი,
დათესეთ პური, სიმინდი, ქერი.

ნახეთ ცისკარი, როგორ იხსნება,
მზე დიდებული როგორ ინთება.

ააშრიალეთ ბაღში ვაზები,
ვაშლ-ქლიავები, მეტად ნაზები.

გამოირეკეთ ცხვარი, კრავები,
გვერდით მოისხით ძაღლი ავები.
აახმიანეთ მთები ბავშვებით,
ააჟღურტულეთ, როგორც შაშვები.
იცხოვრეთ, როგორც მამა-პაპანი,
არ შეგაშინოთ, სწიეთ ჭაპანი.

ჰეი, ვაჟკაცნო, ნუ დადუმდებით,
ნუ დაიფინეთ ფეხზე ხუნდები.
თქვენ ააშენეთ ეს ოქროს კორდი,
და გამოისხით თვალები ორბის.
თქვენ გიყვართ მიწა, მიწა ქართული,
ზედ გაიარეთ წელგამართული.
უშრომლად, ვიცით, მზეც არ ამოვა,
თუ გაირჯები, – სიცოცხლე მოვა.
აბა, რად გინდათ მარჯვე მარჯვენა,
თუკი ნაყოფი აღარ გვაჩვენა.
მოჩერებული მტერი ბევრია,
ქართველი მხნე და ბრძოლის ერია.
მთვარე, ვარსკვლავი კაშკაშებს, ელავს,
თქვენ გაიმარჯვებთ – მუდამდღე მჯერა!

მთ. რედაქტორი
ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+ N13 (4572)
31 ოქტომბერი / 2018 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედაქტორები
ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727; ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050; ნათია გურგენიძე 593 422 258; ეკა მამუკაშვილი 557 208 504; მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მებონია 591 320 705; კონსტანტინე გურგენიძე 592 777 181; თამარ ანდრიაძე (კომპიუტერული მომსახურება) 599 44 98 48;

ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ტელ: (032) 2 99 80 00
(032) 2 98 48 07; (032) 2 99 63 52

ISSN 1987-9113
9 771987 911009